



საჯარო სამართლის იურიდიული პირი წიაღის ეროვნული სააგენტო



KA020133943539519

თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ფაქსი: +995 32 243 95 02

ბრძანება № 422/ს

22 / მარტი / 2019 წ.

შპს „Shkmeri Mining Co., Ltd“-ზე გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების N1001150 ლიცენზიის გაუქმების თაობაზე

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 22 იანვრის N81/ს ბრძანების საფუძველზე დაწყებულ იქნა ადმინისტრაციული წარმოება შპს „Shkmeri Mining Co., Ltd“-ზე გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების N1001150 ლიცენზიის გაუქმების თაობაზე. ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას საფუძველად დაედო სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს სალიცენზიო პირობების კონტროლის სამსახურის უფროსის 2019 წლის 21 იანვრის N98 მოხსენებითი ბარათი, რომლითაც წარმოდგენილ იქნა ინფორმაცია შპს „Shkmeri Mining Co., Ltd“-ს მიერ ჩადენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა თაობაზე და დაყენებულ იქნა ლიცენზიის გაუქმების შუამდგომლობა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააგენტოს მხრიდან გადადგმულ იქნა ყველა ქმედითი ნაბიჯი ადმინისტრაციული წარმოების პროცესში დაინტერესებული მხარის - შპს „Shkmeri Mining Co., Ltd“-ის მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ბრძანება გაგზავნილ იქნა მხარესთან 2019 წლის 24 იანვრის N22/283 კორესპონდენციით, თუმცა მისი ჩაბარება მხარისთვის ვერ მოხდა. კომპანიის იურიდიულ მისამართს წარმოადგენს ქ. თბილისი, ირ. აბაშიძის ქ. N21. ბ.17 და აღნიშნული მისამართი იქნა მითითებული ზემოხსენებულ კორესპონდენციაშიც. კორესპონდენციის დაბრუნების მიზეზად მითითებულ იქნა, ადრესატის მოუძიებლობა მისამართზე. აღნიშნული კორესპონდენცია კვლავ იქნა გაგზავნილი ზემოთხსენებულ მისამართზე, თუმცა უშედეგოდ. ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ზეპირი მოსმენის სხდომაზე მონაწილეობისათვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით, დაინტერესებული მხარის უფლებამოსილი პირის 2019 წლის 25 თებერვლის N2746/12 მომართვის პასუხად, სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 14 მარტის N22/1422 კორესპონდენციით, მხარის მინდობილ პირს ხელზე ჩაბარდა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ბრძანება და განემარტა, ზეპირი მოსმენის სხდომაზე მონაწილეობის უფლების, ასევე, ზეპირი მოსმენის სხდომის ჩატარების თარიღის შესახებ.

სააგენტოში, შპს „Shkmeri Mining Co., Ltd“-ზე გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების N 1001150 ლიცენზიის გაუქმების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, ზეპირი მოსმენა გაიმართა მიმდინარე წლის 21 მარტს. სხდომას ესწრებოდა შპს „Shkmeri Mining Co., Ltd“-ს მინდობილი პირიც. ზეპირი მოსმენის სხდომაზე, კომპანიის წარმომადგენლის მხრიდან, შპს „Shkmeri Mining Co., Ltd“-ს მიერ წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიით განსაზღვრული პირობებისა და საინვესტიციო ვალდებულებების შეუსრულებლობის გამამართლებელ არგუმენტად მოყვანილ იქნა მანგანუმის ფასების ცვლილება. ამასთანავე, დაყენებულ იქნა შუამდგომლობა ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელების თაობაზე. იმ მოტივით, რომ 2019 წლის 25 თებერვლის N2746/12 კორესპონდენციით კომპანიის დირექტორის მხრიდან დაყენებულ იქნა საინვესტიციო ვალდებულების განხორციელების და შესაბამისი საბანკო გარანტიის წარმოდგენის საკითხი, მათ შორის შპს „Shkmeri Mining Co., Ltd“-ესთან მიმართებითაც. ამასთანავე, გადადების შუამდგომლობის არგუმენტად მოყვანილ იქნა ასევე სხვა სუბიექტებთან მიმართებით (შპს „Rodinauli Mining Co.Ltd“, შპს „Cefu Mining Co.Ltd“, შპს „Zeskho Mining Co., Ltd“) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის საკითხი. თუმცა, კომპანიის წარმომადგენელი ვერ მიუთითებს რა დამატებითი ფაქტობრივ თუ სამართლებრივი გარემოება შეიძლება წარმოშვას აღნიშნულმა, რის გამოც, აღნიშნული არგუმენტი ზეპირი მოსმენის სხდომაზე არ იქნა გაზიარებული.

ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, იურიდიული სამსახურის მიერ გამოკვლეულ იქნა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა ფაქტობრივი გარემოება, რომელთაც შემდგომ მიეცა სამართლებრივი შეფასება.

შპს „Shkmeri Mining Co., Ltd“-ზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია გაცემულ იქნა 2013 წლის 02 მაისის N13/466 ბრძანებით. აღნიშნული ბრძანების შესაბამისად განსაზღვრულ იქნა სალიცენზიო პირობები, რომელთა დაცვის ვალდებულებაც გააჩნია ლიცენზიის მფლობელს.

სალიცენზიო პირობების კონტროლის სამსახურის მიერ მასალების კამერალურად დამუშავების შედეგად გამოვლინდა შპს „Shkmeri Mining Co., Ltd“-ს მიერ, რომელიც ფლობს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების N1001150 ლიცენზიას, ონის მუნიციპალიტეტში, სოფელ შქმერის ტერიტორიაზე, „შქმერის“ მანგანუმის შესწავლა-მოპოვების მიზნით, ლიცენზიით განსაზღვრული პირობების დარღვევები. კერძოდ, შპს „Shkmeri Mining Co., Ltd“ ვალდებული იყო:

- არსებული მონაცემების დაზუსტების მიზნით, ლიცენზიის გაცემიდან 5 წლის განმავლობაში (2018 წლის 02 მაისამდე) საბადოს შესწავლილობის გათვალისწინებით ჩაეტარებინა წინასწარი ან/და დეტალური საძიებო სამუშაოები და სამუშაოების შედეგებზე დაყდრნობით, შესაბამის ორგანოში მარაგების დამტკიცების მიზნით, წარმოედგინა სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ანგარიში და დასაბრუნებელი ტერიტორიების X და Y კოორდინატები;
- არაუგვიანეს 2017 წლის 01 დეკემბრისა ლიცენზიის გამცემ ორგანოში წარმოედგინა მომავალი წლის სამუშაო გეგმა და ბიუჯეტი;
- არაუგვიანეს 2018 წლის 01 აპრილისა ლიცენზიის გამცემ ორგანოში წარმოედგინა წინა წლის შესრულებული სამუშაოებისა და ბიუჯეტის ანგარიში;
- 2018 წლის 01 აპრილიდან 01 მაისამდე ლიცენზიის გამცემ ორგანოში წარმოედგინა წერილობითი ანგარიშგება სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ;
- ლიცენზიის გაცემიდან 5 წლის განმავლობაში (2018 წლის 02 მაისამდე), შესწავლის სამუშაოებისათვის განუხორციელებინა 3 000 000 ლარის ინვესტიცია და ამავე ვადაში ლიცენზიის გამცემ ორგანოში წარმოედგინა აუდიტორული კომპანიის მიერ მომზადებული დასკვნა მითითებული ინვესტიციის ხარჯვის ანგარიშის შესახებ.

ზემოაღნიშნული ვალდებულებების შპს „Shkmeri Mining Co., Ltd“-ს მიერ შეუსრულებლობის გამო, სალიცენზიო პირობების კონტროლის სამსახურის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ 2018 წლის 21 მაისს შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ N044659 ოქმი ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 57³ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, რაც ითვალისწინებს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის ან წიაღის სარგებლობის ლიცენზიის მფლობელის მიერ სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმის დადგენილ ვადაში წარუდგენლობის ან სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშის კანონმდებლობით დადგენილი წესით და დადგენილ ვადაში წარუდგენლობის გამო ჯარიმას 500 ლარის ოდენობით და 57³ მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, რაც ითვალისწინებს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის ან წიაღის სარგებლობის ლიცენზიის პირობების დარღვევის გამო ჯარიმას 2000 ლარის ოდენობით. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი განსჯადობით გაიგზავნა ონის მაგისტრატ სასამართლოში.

ონის მაგისტრატი სასამართლოს 2018 წლის 28 სექტემბრის N4-33 დადგენილებით შპს „Shkmeri Mining Co., Ltd“ ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად ზემოაღნიშნული ხუთივე სამართალდარღვევისათვის და სახდელის სახით დააკისრა ჯარიმა 2 000 ლარის ოდენობით. ხოლო, 2018 წლის 14 დეკემბრის N395 წერილით ონის მაგისტრატმა სასამართლომ წიაღის ეროვნულ სააგენტოს აცნობა, რომ 2018 წლის 28 სექტემბრის დადგენილება არ გასაჩივრებულა მხარის მიერ და ჯარიმის გადახდის ქვითარი არ არის წარმოდგენილი სასამართლოში.

მიუხედავად არაერთი მცდელობისა, შპს „Shkmeri Mining Co., Ltd“-ს წარმომადგენლებთან დაკავშირება ვერ მოხერხდა, სალიცენზიო პირობების კონტროლის სამსახურის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ ოქმის შედგენისას. აგრეთვე, სასამართლო დადგენილებაში აღნიშნულია, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ზომა იქნა მიღებული ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის გაფრთხილებისა და სასამართლო სხდომაზე გამოცხადების მიზნით, თუმცა, მიუხედავად გატარებული ზომებისა, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე და სასამართლომ სამართალდარღვევის მასალები განიხილა მის დაუსწრებლად.

ამასთან, შპს „Shkmeri Mining Co., Ltd“-ზე სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფროსის 2013 წლის 02 მაისის N13/466 ბრძანების 1 მუხლის 1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ლიცენზიის გაცემიდან 5 წლის განმავლობაში მარაგების ანგარიშის წარმოდგენლობა და ამავე ვადაში 3 000 000 ლარის ინვესტიციის განუხორციელებლობა შესწავლის სამუშაოებისათვის, შესაძლებელია განხილულ იქნეს როგორც წიაღის სარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძველი. ვინაიდან, ლიცენზიის გაცემის შესახებ ბრძანება იმპერატიულად განსაზღვრავს წიაღის სარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძველად იმ ვალდებულებების შეუსრულებლობას, რომელთა შეუსრულებლობის გამო იქნა შედგენილი ადმინისტრაციული

სამართალდარღვევის ოქმი და სასამართლოს მიერ კომპანია ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად.

ის გარემოებები, რომ ლიცენზიის მფლობელი არ ახორციელებს სამუშაოებს სასარგებლო წიაღისეულის შესასწავლად, დარღვეული აქვს ყველა სალიცენზიო პირობა, რომლის შესრულების ვადაც ამ ეტაპისთვის არის დამდგარი, ამასთან, კომპანიის წარმომადგენელ მიერ, გეპირ სხდომაზე არ მომხდარა არცერთი რეალური მიზნის დასახელება, თუ რატომ არ შესრულდა სალიცენზიო პირობები, ამასთანავე, არ ყოფილა წარმოდგენილი რაიმე რეალური პოზიცია ან პერსპექტივა სამომავლოდ სალიცენზიო პირობების შესრულების შესაძლებლობასთან დაკავშირებით, სახეზეა, რომ ლიცენზიის მფლობელის დაჯარიმებასა და გონივრული ვადის განსაზღვრას დარღვევების აღმოსაფხვრელად კონკრეტული შედეგები არ მოჰყვება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ კომპანიის მიერ აღსრულებული არ არის ჯარიმის დაკისრების თაობაზე სასამართლოს დადგენილება. შესაბამისად ცალსახაა, რომ გონივრული ვადის განსაზღვრას სალიცენზიო პირობების შესასრულებლად, შესაბამისი შედეგი არ მოჰყვება, რის გამოც, აღნიშნული მექანიზმი არ იქნა გამოყენებული მოცემულ შემთხვევასთან მიმართებით.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-4¹ პუნქტის შესაბამისად, „თუ აშკარაა, რომ სარგებლობის ლიცენზიის პირობების ან/და კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო ლიცენზიის მფლობელის დაჯარიმებას შედეგი არ მოჰყვება, ლიცენზიის გამცემი უფლებამოსილია მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით გააუქმოს ლიცენზია.“ ამასთან, ამავე მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, პასუხისმგებლობა, ლიცენზიის გაუქმების სახით, გამოიყენება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ლიცენზიის მფლობელის დაჯარიმება ვერ უზრუნველყოფს სალიცენზიო პირობების შესრულებას და ლიცენზიის გამცემი დაასაბუთებს, რომ ლიცენზიის გაუქმება არ გამოიწვევს უფრო მეტ ზიანს, ვიდრე ლიცენზიის მოქმედება.

ცალსახად დადასტურებულია ფაქტობრივი გარემოება, რომ შპს „Shkmeri Mining Co., Ltd“ არ ახორციელებს სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვებით სამუშაოებს, შესწავლის ვადის გასვლის მიუხედავად, კომპანიას არ წარმოუდგენია მარაგების ანგარიში და შესაბამისად, არ დაუწყია წიაღისეულის მოპოვება, რასაც ადასტურებს კომპანიის მხრიდან აღნიშნული ეტაპის გასვლის შემდგომ განსახორციელებელი ქმედებების, როგორც ლიცენზიით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა. ამასთან, ლიცენზიის გაუქმების შემდგომ, ამ ფართობზე არსებული პერსპექტივა შესაძლოა გაცილებით მომგებიანი იყოს სახელმწიფოსთვის ეკონომიკური თვალსაზრისით, ვიდრე აღნიშნული ლიცენზიის არსებობა.

ამასთანავე, მოცემულ შემთხვევაში, ლიცენზიის მფლობელის დაჯარიმებით ვერ იქნა უზრუნველყოფილი შედეგი, ვინაიდან, ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდგომაც, კომპანიის მხრიდან არც ერთ დარღვევაზე რეაგირება არ მომხდარა. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა დაკისრებულ იქნა ონის მაგისტრატი სასამართლოს მიერ, ამის მიუხედავად, ლიცენზიის მფლობელის მხრიდან სალიცენზიო პირობები კვლავ არ სრულდება. შესაბამისად სახეზეა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-4¹ პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა და არსებობს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაუქმების საფუძველი.


გემოსხნებული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-4¹, მე-11 პუნქტებისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 04 იანვრის №1-1/2 ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - წიაღის ეროვნული სააგენტოს დებულების" მე-4 მუხლის "ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს “Shkmeri Mining Co., Ltd”-ზე (ს/კ 404959504) სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფროსის 2013 წლის 02 მაისის N13/466 ბრძანება;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს (გაუქმდეს) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების N1001150 ლიცენზია;
3. დაევალოს სააგენტოს ლიცენზირების დეპარტამენტს ლიცენზიის გაუქმების შესახებ მონაცემების დადგენილი წესით შეტანა უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში;
4. დაევალოს სააგენტოს ადმინისტრაციულ სამსახურს დაინტერესებული მხარისთვის ამ ბრძანების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ.თბილისი, სანაპიროს ქ. N2) კანონით დადგენილი წესით, მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამბდასმულია
ელექტრონულად 

მაია ბავრაშვილი